

ყოველდღიური საკომლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა... 8 აზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილისის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამკლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 სა—მდე 3 მ.

მმ. შუბლაშვილების სახალხო სახლი

პირას, 1 ნომერს, აღსანიშნავათ იმ გარემოებისა, რომ წელს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ა. ცაგარლის მიერ დაიწერა პიესა: „რას ვინახავს, ვიღარ ნახავს“ სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველ სექცია ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით გამართავს საღამოებში წარმოდგენას.

რაც ვინახავს ვეღარ ნახავს

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციისთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დანი... აღკვეთის ფასი ერთი შურადან ათ შურამდეა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. შათირიშვილი ადმინისტრატორი სვირელი.

თფილისის სახალხო თეატრი

საბჭოთა ამხანაგობა ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს თფ. ბებია-ქალთა საზოგად. თანხის გასადიდებლად... რაროლიკა

თფილისის კერძო სამკურნალო

- 30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტეცის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.
- ბალარკანი 3. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
- ბადაშვილი 8. ა. ნერვების და ელ. ორზაბ., ოთხშ. და პა. 10 1/2—11.
- ბუკაძე 2. ბ. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირის 11—12 ს.
- ბარბიანი 2. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირის გარდა 2 1/2—3 1/2 ს.
- ბადაშვილი 8. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.
- ბანაშვილი 3. მ. შინაგანი. ორზაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.
- ბილიშვილი 6. მ. ქირურ. და ლედაკა. ყოველ დღე 12—1 ს.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

- ლია ყოველდღე მოსიარულე ავთოპოეთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ღ. ენოანჯიანისა (ტელეფონი 695).
- მ. ს. ვაზაშვილი კბილის ავთ-მე. ყოველ დღე 9—10 ს.
- მ. ი. გომარათიანი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავთმე.
- მ. ა. ნ. დინასიძე: ყოველ დღე 11 1/2—12 1/2 ს.; სიდილ., ვენ. და კანის ავთმე.
- მ. გ. მ. მაღლიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქურთუგ. ავთმე.
- მ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და კურის ავთმე.
- მ. გ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—2 1/2 ს.; თფილის ავთმეოფ.
- მ. მ. გ. ფადოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ. მიკროსკოპული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყველის აცრა და ძიძათ გასინჯვა.
- ფსეხები რჩევსათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—26)

ს. სუმბათაძე

16 ოქტომბერს გადიწვა სახერხევი ქარხანა, რადგან ხმა გავრცელდა, ვითომც მეც ვიყო დაწვეარი ქარხნის მონაწილე, ამისათვის ვაცხადებ: დაწვებულებათა, მუშტრებთა და საზოგადოების

საყურადღებოთ

რომ მე ამა წლის 12 იანვრიდან ნოტარიუსის წესით ხსენებული ქარხანა გადავეცი სრულს მის პასუხის მგებლობაში ჩემს ძმას ილიარსო ალექსანდრესძე საბახარაშვილს და არა ვარ ვალდებული არავითარ მის საჯარო საქმეში გავეწიო; ყოველგვარი აღებ-მიცემობის სრული პასუხის მგებელია ის და მე მასთან შეწყვეტილი მაქვს ვაჭრული კავშირი. გიორგი ალ. საბახარაშვილი. 2—1

ბათუმში გაზეთ „მომავალი“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შტაფის გამგე გიორგი მასარაძესთან. იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალი“-ში დასაბეჭდათ. (10—9)

კბილის ექიმი ი. შ. ჭანტუხია

იღებს ავთმყოფებს დღით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს. კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავკალის № 71 (კირონი ქუჩის ახლოს).

გამოცდილი მასწავლებელი.

ამხადებს და წაწმინდას მოწაფეებს ყველა სასწავლებლებსათვის.

იკითხეთ „მომავლის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა № 3. (0—6)

გაგებობა

გოგია-ჯინაიშის შინაგან-გამგებობა, ბაღ ამხანაგობისა.

რომელმაც განახლა თავისი მოქმედება, აცხადებს, რომ ორა კვირის განმავლობაში ამ განცხადების შემდეგ, ფულის შემოდგან, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ თავიანთი რეკვირები, შეუძლიან განაცხადონ ამის შესახებ გამგეობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამგეობა არავითარ განცხადებას არ მიიღებს.

გამგეობის ა. ლომიძე, კოსტა ცაგარეიშვილი და კოსტა ერამე. (7—5)

ი ა ფ ა თ

იყიდება ს. ნიგოიში (გურიისში) რკინის გზის სადგურის ახლო საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, ოთხთანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბუდე, 2 სასიძინდე კარავი მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩაბური და სხვა სოფლის მეურნეობის ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქვევანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი პაერთ და სახანავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურთე შარა-გზა. პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოიში მივადე ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავლის“ რედაქციაში ს. კან. 0—20

1909 წ. „ნაკადული“ ს პრემია

„რას ვინახავს ოსიანი“ ავტორისათ დასაბეჭდა და ამ მოკლე ხანში დაბეჭდა; განცხადებას არ წარმადგეს იფუჯს, შრე-მას არ მიადებს. 3—2

მმ. ზუბლაშვილების

სახლში 30 ოქტომბერს დანიშნული წარმოდგენა „ცხოვრების გმირი“ და რეკვირებთან ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღარ წავა. გაყიდულ ბილეთების ფასებს მიიღებენ. გამგე ა. ყორანაშვილი.

ფინლიანდიის საკითხის გარემო.

მთელი ევროპის და რუსეთის საზოგადოებრივი ყურადღება ამ ეამათ მიჰყრბოლილია ფინლიანდიის ბედ-იბალზე. რუსეთის მოწინავე ელემენტები გაათკაცებული ინტერესით თვალ-ყურს ადევნებენ მთავრობის პოლიტიკას, ამ ტერიტორიალურათ მტრათ პატარა, მაგრამ კულტურულათ მოწინავე მხარეში; დედმდის სტოლიპინის მთავრობა დროთა ვითარების გამო, ძალაუნებურათ იძულებული იყო თავისი ნამდვილი ულტრა-რეაქციონური მიწარაგებანი კონსტიტუციონალურ მანტიაში გაეხვია და ფინლიანდიაში აშკარა აგრესიული პოლიტიკაზე დროებით უარი ეთქვა მან დღეს გაიმარჯვა საშინაო პოლიტიკის სფეროში, და მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თავისი ისტორიული მისია ლოკალურ დასკვნამდე მიიყვანოს... მხოლოდ პოლიტიკურ ბალღებისთვის არ იყო აშკარა, რომ ფინლიანდია, ეს ერთად-

ერთი კუთხე, სადაც კიდევ ბეჭუტავს თავისუფლების მწათობი, სადაც ჯერ კიდევ ელვა სული 1904—1905 წლებში გაღვივებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას—რომ ეს მხარე დაკარგავდა ყოველივეს, როცა რუსეთში განმთავისუფლებელი მოძრაობა შესუსტდებოდა. ამ მხრივ ფინლიანდიის ბედ-იბალი და ისტორიის საყურადღებო განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყოველ გზა-ჯვარედინზე გაკვივის ადგილობრივ ინტერესებისთვის და საზოგადოთ, მთელი იმპერიის ინტერესებიდან გამოყოფაზე; ახლა მანაც ადვილათ დანიხავს ვინც სრულიად მოკლებული არაა საზოგადო მოვლენების ობიექტიურათ დაფასების უნარს, რომ ვისაც სურს თავისუფლება და კეთილდღეობა, ამა თუ იმ ხალხის, მან უნდა მთელი თავისი ენერჯია, მთელი თავისი ცოდნით ეცადოს საერთოდ, მთელი რუსეთის განახლებაზე. დაეუბრუნდეთ ისევე კიახვის.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთ საშინელ სახიფათო მომენტში ფინლიანდიის საზოგადოება მეტათ დიდ პოლიტიკურ სიღინჯეს და უნარს იჩენს... ის ერთათ-ერთი კუთხეა მთელ ქვეყანაზე, სადაც პოლიტიკური უფლებებით ასე ფართოთ სარგებლობენ ქალები: სემში რამდენიმე ქალი დეპუტატათ სხვადაპარტიის წარმომადგენელი. სემი თავისი შემდგენლობითი მეტად დემოკრატიული, სახალხო წარმომადგენლობაა, და მით უმეტეს განცვიფრებაში მოჰყავებარ იმ გარემოებას, რომ ასეთი დემოკრატიული საარჩევნო კანონის თანახმად ირჩევენ თავიანთ წარმომადგ. რუსეთის იმპერიის ერთ კუთხეში, სადაც თავისუფალი საზოგადოებრივი აზრი დიდ დანაშაულობათ არის ცნობილი. ისეთ სახელმწიფოში, როგორც რუსეთია, ფინლიანდია და მისი მდგომარეობა პართლაც უდიდესი წინააღმდეგობა ამ სახელმწიფოს სინამდვილის და ამ მხრივ, როგორც წინეთაც ვთქვით, ბიუროკრ. ცდილობს ეს წინააღმდეგობა შეასწოროს, მას უნდა ერთ უფლებების კანონობაში მოაქციოს მთელი რუსეთის იმპერია. უკანასკნელი ზომები ამ მიწარაგებას აშკარად ყოფს; ყველა ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა გზას დაადგა ბიუროკრატია. ფინლ. ყველა პოლიტიკური პარტიები და საზოგადო. ჯგუფები შესაფერ მზადებაში არიან. სუოტერინათ პარტია, რომელიც ბობრიკოვის დროს რუსეთის მთავრობას მხარს უჭერდა და ყოველ მის სურვილების ცხოვრებაში გატარებას ცდილობდა, დღეს პროტესტის გზას დაადგა, მათი ლიდერი დანიესონი კალმარი სრულიად არ ფარავს თავის უწყაყოფილებას; თავის თავად ცხადია, რომ სხვა პარტიები: „მოსადოვნიები“ და სოციალდემოკრატები შესაძლოა წინააღმდეგობას გაუუწყვენ ფინლიანდიის ავტონომიის მოწინააღმდეგეთ.

სოციალდემოკრატიული პარტია უდიდესი პარტიაა ფინლიანდიაში. მას 83 ე.ი. ნახევარზე ცოტა ნაკლები, წარმომადგენელი ჰყავს სემში მისი გავლენა ფინლიანდიელებზე განუსაზღვრელია, ეს პარტია, როგორც წინეთ, ისე ეხლაც ბელადობს კონსტიტუციის და ავტონომიის დამცველთა ლაშქარს, ის ამხადებს ფინლიანდიის სხვადასხვა კუთხეებში საპროტესტო მიტინგებს, სადაც გამოაქვთ სათანადო რეზოლიუციები; მან მიმართა პროტესტით სოციალისტთა საერთაშორისო ბიუროს და სხვა. ამ დღეებში სოც. დ. ფრაქციის პეტერბურგში ესტუმრა სემის სოც. დემ. ფრაქციის ბელადი კნობლი დემ. სიროლა ორი თავისი ამხანაგით; სიროლაამ ვააცნო ს. დ. ფრაქციის ფინლიანდიის მდგომარეობა და ს. დ. პარტიის უახლოვესი ნაბიჯები. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ კრებამ გადაწყვიტა, არ იქნას მიღებული ჯერჯერობით, სანამ კიდევ უფრო არ გამოირკვევა საქმეთა ვითარება, რაიმე კონკრეტული ზომები; შემდეგ კი, იმოქმე-

დოს ორივე ფრაქციამ შეთანხმებით, როგორც ამას მოითხოვს პოლიტიკური მომენტის ინტერესი. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა მასალის შეკრება რათა ფრაქცია მომზადდებული დახედეს მომავალ შეტაკებას დემის უმრავლესობასთან, რომელიც, როგორც კი საჭირო იქნება ბიუროკრატისათვის თავისი სანქციის მოაწვდის ფინლიანდიის საქმეთა შესახებ.

დასასრულ დემ. სიროლაამ ფინლიანდიის ს. დ. პარტიის სახელით მადლობა გამოუცხადა დემის ს. დ. ფრაქციის ფინლიანდიის ინტერესების მდგარი და ენერჯიული დაცვისათვის წარსულ სესიაში ფინლიანდიის საქმეთა შეკითხვის დროს. პეტერბურგი. მმ. გაბაშვილი.

სახელმწიფო დება

(სააგენტოს დეპუტატების)

მეცხრე სხდომა.

28 ოქტომბერი მეცხრე სხდომა გაიხსნა 28 ოქტომბერს დღის 11 საათსა და 16 წუთზე. თავმჯდომარეობას თავ. ვოლკანსკი. კითხულობენ დემის 35 წევრის განცხადებას ვლადიკავკის რკინის გზის აქციების მთავრობის მიერ გაყიდვის შესახებ. განცხადების ავტორნი თხოულობენ განცხადება საფინანსო კომისიის გადაცემა. განცხადება კომისიის გადაცემა. შემდეგ დემამ დაამტკიცა კულტურის და შგეკინის არჩევნი და განაგრძო პირობითი დასჯის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. განხილვის მეოთხე მუხლიდან 17 მუხლამდე. გამორიცხულ იქნა მეთორმეტე მუხლი. დანარჩენი მუხლები ზოგი შესწორებებით და ზოგი ისე მიიღო დემამ კომისიის რედაქციით. კანონ-პროექტი სასეხებით მიღებულ იქნა. სხდომა შესწყდა. სხდომის განახლებისას დემამ შეუდგა პროფესიონალური კავშირების დევნის შესახებ შეკითხვის განხილვას. მდგენის თანამშემდეგ აცხადებს, რომ იუსტიციის მინისტრი შეუძლებლათ სცნობს პასუხი გასცეს ამ შეკითხვაზე, რადგან ეს შეკითხვა სრულიებით არ ეხება იუსტიციის სამინისტროს მოქმედებას. შინაგან საქმეთა მინისტრს ამხანაგი და ეანდარმათა კორპუსის უფროსი გენერალი კურლოვი აცხადებენ, რომ წამოყენებული შეკითხვა ვერ არის ვერც იურიდიულათ და ვერც ფაქტიურათ დასაბუთებული მათი სიტყვით არ შეიძლება კოლეგიალურ დაწვებულებულად იქნას, როგორც საგუბერნიო საქრევულოგებია, უკანონო მოქმედებაზე ლაპარაკი. თუ შინაგან საქმეთა მინისტრს ეკითხებიან რა გავლენა აქვს მას კოლეგიალურ საკრებულოებზე, პასუხი ასეთია—არავითარი, რადგან ამ საკრებულოების მოქმედება საესებით დამოკიდებულია მხოლოდ უმარტებულეს სენატზე. თუ საგუბერნიო საკრებულოთა მოქმედების შესახებ შეკითხვაში იურიდიული საბუთები არ არის, მით უმეტეს არ არის კერძო თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებდენ არსებულ კანონების თანახმათ და უკანონოთ არ ჩათვლებო. გარდა ამისა უკანონო მოქმედების შესახებ უნდა აღორულოყო საჩივრები კერძო თანამდებობის პირთა შესახებ, მაგრამ ასეთი საჩივრები შინაგან საქმის მინისტროში სულ არ შემოსულა და სენატში კი ძალიან ცოტა. ასეთ პირობებში—სთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა—მე არ შემიძლია დავცაყოფილდე საქმის ფორმალური მხრივ. ის შეგბო ზოგიერთ ფაქტებს, რომლებიც შეკითხვაში იყო მოყვანილი და სთქვა, რომ ეს ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერებიან. კერძო თანამდებობის პირთა მოქმედების შესახებ მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, რომ მათ შესახებ ბრალდებებიც გადამეტებულია, რადგან ისინი ასახელებდენ არა პროფესიონალურ მოღვაწეებს, არამედ საზოგადო. მშვიდობიანობისათვის მავნე პირებს,





